8 8

## <u>ხელშეკრულება</u>
## <u>ჯანდარა-სუფსის ნავთობსადენის 50 მეტრიან უსაფრთხოების ზონაში მიწით სარგებლობის უფლებებისა და ნორმების შესახებ</u>

______ 199_ ქალაქი/რაიონი ლანჩხუთი/გვიმბალაური

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი:

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (სნსკ), აქ და შემდგომში წოდებული როგორც "მილსადენის მფლობელი", წარმოდგენილი

[illegible] ბერიაშვილის ______ სახით,

და საქართველოს მილსადენის კომპანია (სმკ), აქ და შემდგომში წოდებული როგორც "საოპერაციო კომპანია", წარმოდგენილი

რობერტ [illegible] ______ სახით,

და გვიმბალაურის ______ რაიონის/საკრებულო შემდგომში წოდებული, როგორც "ადგილობრივი მმართველობის/თვითმმართველობის წარმომადგენელი", წარმოდგენილი ______, ______ სახით, ერთის მხრივ,

და ბატონი/ქალბატონი/იურიდიული პირი [illegible] ______ სახით, შემდგომში წოდებული, როგორც "მიწის მესაკუთრე", რომელიც მოქმედებს 1996 წლის 2 აპრილის საქართველოს კანონის "საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობის ტრანსპორტირების ზოგიერთი საშუალების მშენებლობის, ფუნქციონირების, მონიტორინგის, შეკეთებისა და ექსპლუატაციის და ამ საშუალებებით ნავთობის იმპორტის, ტრანზიტისა და ექსპორტის სამართლებრივი პრინციპების შესახებ" და მილსადენთან, როგორც ეს განსაზღვრულია ქვემოთ, დაკავშირებული ნორმატიული აქტების საფუძველზე და რომლის მიწის ნაკვეთი მდებარეობს გვიმბალაური ლანჩხუთის რაიონში, ჯანდარა-სუფსის ნავთობსადენის KP 344,5 და KP 345,5 შორის, მეორეს მხრივ;

შევთანხმდით შემდეგზე, რაც სავალდებულო იქნება ყველა მხარისათვის, მათი სამართალმემკვიდრეებისა და მინდობილებისათვის და წარმოადგენს დანართს ყველა იურიდიული საბუთის, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის და/ან ხელშეკრულებისა, რომელიც დაკავშირებულია ჯანდარა-სუფსის ნავთობსადენის გასწვრივ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწით სარგებლობასთან, იმ მონაკვეთზე, რომელიც მოყვანილია ზემოთ და წარმოდგენილია მიწის მესაკუთრის მიერ.

1. მოცემული **ხელშეკრულების** მიზნით მხარეები თანხმდებიან შემდეგ განსაზღვრებებზე:

**მილსადენი** არის ჯანდარა-სუფსის ნავთობსადენი, რომელიც მოიცავს ყველა მიწისზედა და მიწისქვეშა საშუალებებსა და მოწყობილობებს.

**მილსადენის უსაფრთხოების ზონა** არის 50 მეტრი სიგანის კორიდორი, მილსადენის მთელი სიგრძის გასწვრივ რომელშიც ცენტრალურად მოთავსებულია მილსადენი.

**მილსადენის ექსპლუატაციის ზონა** არის 33 მეტრის სიგანის კორიდორი მილსადენის მთელი სიგრძის გასწვრივ რომელშიც ცენტრალურად მოთავსებულია მილსადენი.

**მილსადენის ნორმალური ოპერაციები** მოიცავს მილსადენის ექსპლუატაციისა და ტექმომსახურების მიზნით საოპერაციო კომპანიის მიერ განსაზღვრულ და საჭირო საქმიანობას.

**მილსადენის საგანგებო ოპერაციები** მოიცავს საოპერაციო კომპანიის მიერ განსაზღვრულ და საჭირო საგანგებო საქმიანობას, მილსადენის მთლიანობის შენარჩუნებისა ან აღდგენის და საზოგადოების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიზნით.

**მილსადენის შეკეთების ოპერაციები** მოიცავს საოპერაციო კომპანიის მიერ განსაზღვრულ და საჭირო საქმიანობას, მილსადენის მთლიანობის შენარჩუნების, საზოგადოების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიზნით.

2. წინამდებარე **ხელშეკრულების** მიზნით მხარეები აღიარებენ და თანხმდებიან შემდეგზე:

2ა. მილსადენის მფლობელს და/ან საოპერაციო კომპანიის წარმომადგენლებს აქვთ ნებისმიერი კანონიერი მიზნით მილსადენის უსაფრთხოების ზონაში შესვლის შეუზღუდავი უფლება, 1996 წლის 8 მარტის "მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულების" (აქ და შემდგომში მოხსენიებული, როგორც "მშეხ") და/ან 1996 წლის 8 მარტის "ტერიტორიის მფლობელი ქვეყნის სამთავრობო ხელშეკრულების" (აქ და შემდგომში მოხსენიებული, როგორც "ტმქსხ") მიხედვით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, ან როგორც ამას მილსადენის ნორმალური ოპერაციები, მილსადენის შეკეთების ოპერაციები, ან მილსადენის საგანგებო ოპერაციები მოითხოვს.

2ა1 საოპერაციო კომპანიას აქვს უფლება მილსადენის უსაფრთხოების ზონაში შევიდეს წინასწარი შეტყობინების გარეშე, მილსადენის ნორმალური ოპერაციების ჩატარების მიზნით, 2ა პუნქტის შესაბამისად.

2ბ. საოპერაციო კომპანია მიწის მესაკუთრეს 72 საათით ადრე აცნობებს მილსადენის უსაფრთხოების ზონაში შესვლის შესახებ მილსადენის შეკეთების ოპერაციების განხორციელების მიზნით.

2გ. საოპერაციო კომპანია შეეცდება მიწის მესაკუთრეს 72 საათის განმავლობაში აცნობოს მილსადენის უსაფრთხოების ზონაში მილსადენის საგანგებო ოპერაციების დაწყების შესახებ.

2დ. საოპერაციო კომპანია პასუხისმგებელია და მისივე საოპერაციო კომპანიის შესაძლებლობისამებრ მოხდება მისი საქმიანობით დაზიანებული ქონების შეკეთება, შეცვლა და ანაზღაურება, თანახმად მშეხ-ში მოყვანილი პირობებისა.

2ე. ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებული ზარალის შესახებ წერილობითი ფორმით დროულად უნდა წარედგინოს საქართველოს მილსადენის კომპანიის კონტროლის ორგანოების უსაფრთხოების დეპარტამენტს.

2ვ. მიწის მესაკუთრეს უფლება აქვს ან შეუძლია ნება დართოს სხვებს, მილსადენის უსაფრთხოების ზონაში ნიადაგის გაფხვიერებაზე ან მოხვნაზე **არაუმეტეს 30 სანტიმეტრის სიღრმეზე.**

2ზ. მიწის მესაკუთრემ საოპერაციო კომპანიასთან შეთანხმების გარეშე არ უნდა შეასრულოს, ან არ უნდა გასცეს ნებართვა მილსადენის უსაფრთხოების ზონაში შემდეგი მოქმედებების შესრულებაზე:

1. შენობებისა და ნაგებობების აღმართვა;
2. ნებისმიერი სახის ხეების და ბუჩქების დარგვა მილსადენის ექსპლუატაციის ზონაში;
3. ფურაჟის, საწვავისა და მასალების შენახვა, თივისა და ჩალის ზვინების დადგმა;
4. საქონლის სადგომი ბოსლების დაყენება და საქონლის გარეკვა;
5. გასასვლელების ან გადასასვლელების აშენება, მძიმე და სატვირთო მანქანებისათვის, ტრაქტორებისათვის და სასოფლო მანქანა-დანადგარებისათვის სადგომების მოწყობა;
6. ნებისმიერი სახის ნაგავსაყრელი ორმოების მოწყობა, მიწაზე მჟავა ან ტუტე ხსნარების დაღვრა;
7. ნიშნულების, საზღვრის ნიშნულების, საცდელი პუნქტების, ან მილსადენთან დაკავშირებული სხვა მოწყობილობის გადაადგილება და/ან მათი დაზიანების მცდელობა;
8. მილსადენისა და სამშენებლო ჭაბურღილების, კათოდური და სადრენაჟო დაცვის და მილსადენის სხვა ნაგებობათა დაცვის, კარიბჭეების, კარებების გაღება, სარქველების ამუშავება ან ამუშავების მცდელობა, საკომუნიკაციო ხაზების, ელექტროგადამცემის, ტელემექანიკის ჩართვა ან გამორთვა;
9. სასარწყავ-სადრენაჟო ნაგებობების დანგრევა ან შეცვლა, მათი განადგურება ან მათზე გადასასვლელების მოწყობა;
10. გარემოსდაცვითი ნაგებობების დანგრევა ან შეცვლა, მათი განადგურება და მათზე გადასასვლელების მოწყობა;
11. წყლის ნაკადების, მიწის და სხვა კონსტრუქციების გაჭრა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაგავის ან ნაგავსაყრელების აუცილებელი დაცვისაგან დაშორებული ნაგებობების გაჭრა;
12. ხანძრის გაჩენა, ან ხანძრის წარმოშობის ნებისმიერი წყაროს შექმნა.
13. ახალი სარწყავი ან წყლის მიწოდების სისტემის მოწყობა.

2თ. მიწის მესაკუთრეს ეკისრება იურიდიული და მატერიალური პასუხისმგებლობა 2ზ. მუხლში გათვალისწინებული დარღვევებისათვის.

2ი. საოპერაციო კომპანია დროდადრო მილსადენს შეამოწმებს, მილსადენის მიწის საფარის სიღრმის გადასამოწმებლად. მიწის მესაკუთრეს წერილობით აცნობებს, თუ აღმოჩნდა, რომ მილსადენის თავზე არსებული მიწის საფარის სიღრმე ჩვეულებრივი ზედაპირიდან 80 სმ-ზე ნაკლებია. აღნიშნული შეტყობინების შემთხვევაში მიწის მესაკუთრემ არ უნდა მოხნას ან არ უნდა გასცეს ხვნის ნებართვა მილსადენის უსაფრთხოების ზონაში, საოპერაციო კომპანიასთან შეთანხმების გარეშე.

2.4. 2.ა. მუხლით გათვალისწინებული მილსადენის ჩამარხვის სიღრმის აღდგენა უნდა მოხდეს მიწის სავარის შეთანხმებაშიც პასუხისმგებელი პირის ხარჯებით, რომელსაც განსაზღვრავს მილსადენის მფლობელის, საოპერაციო კომპანიის, მიწის მესაკუთრისა და ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენლის მიერ დამტკიცებული კომისია.

3. ხელშეკრულება ძალაშია ტერიტორიის მფლობელი ქვეყნისა და მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულებების მოქმედების განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის მესაკუთრე მილსადენის მფლობელის ან მილსადენის ოპერატორის მხრიდან ღებულობს ოფიციალურ შეტყობინებას საწინააღმდეგოს შესახებ.

4. ადგილობრივი მმართველობის/თვითმმართველობის წარმომადგენელი საოპერაციო კომპანიას აცნობებს მიწის საკადასტროში შეტანილი ცვლილებების, ან მიწის მესაკუთრის უფლებებისა და მოვალეობებზე უარის თქმის შესახებ.

5. მიწის მესაკუთრე ყველა მიწით მოსარგებლეს აცნობებს აქ განსაზღვრული და ხაზგასმული შეზღუდვებისა და პასუხისმგებლობის შესახებ. მიწის მესაკუთრე პასუხს აგებს აღნიშნულის დაცვისა და შესრულებაზე.

6. გამონაკლისები მოცემული **ხელშეკრულებიდან**

_____________________________________________________________________________________

7. წინამდებარე ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება საოპერაციო კომპანიისათვის (მილსადენის ოპერატორისათვის) ნებისმიერი უფლების მინიჭებას რომლებიც გათვალისწინებულია ტერიტორიის მფლობელი ქვეყნისა და მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულებებით. წინამდებარე დოკუმენტის არცერთი დებულება არ ისახავს მიზნად შეიტანოს რაიმე დამატება ან ცვლილება ტმქსხ-თა და მჰუმ-ით გათვალისწინებულ პირობებში.

8. მხარეები:

მილსადენის მფლობელი: <u>საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია</u>

<u>საქართველო, თბილისი, სანაპიროს ქუჩა, 4; ტელ. 99 84 18, 92 02 49</u>

საოპერაციო კომპანია: <u>საქართველოს მილსადენის კომპანია</u>

<u>საქართველო, თბილისი, აღმაშენებლის გამზირი 123; ტელ. 94 03 24, 94 18 64</u>

მიწის მესაკუთრე: ____________ ტელ ____________

ადგილობრივი მმართველობის წარმომადგენელი: ____________

ტელ: ____________

| მილსადენის მფლობელი | საოპერაციო კომპანია | მიწის მესაკუთრე | ადგ. მმართველობის/თვით-მმართველობის წარმომადგენელი |
|---|---|---|---|
| ი. მუზაშვილი | ნ. ოდიშვილი | | |

1-1